# ეკონომიკური რეაბილიტაციის სახელმძღვანელო

## ანგარიში

მაკა კუკავა

# საბოლოო ანგარიში

წარმოგიდგენთ 2017 წლის 7 სექტემბერს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში “ფონდი”) მიერ სახელწიფო შესყიდვების შესახებ #1329/1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესახებ ანგარიშს.

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ფონდისთვის „ეკონომიკური რეაბილიტაციის სახელმძღვანელოს“ შემუშავება, რათა გაუმჯობესდეს ფონდის ბენეფიციარების დასაქმება/თვითდასაქმების მხარდაჭერითი ღონისძიებები და მოხდეს მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობა და სოციუმში ინტეგრაცია.

სახელმძღვანელოს შემუშავების საწყის ეტაპზე შეხვედრები გაიმართა ფონდის ხელმძღვანელობასთან და კრიზისული ცენტრებისა და თავშესაფრების წარმომადგენლებთან.

ჩამოყალიბდა და შეთანხმდა თუ რა ძირითადი საკითხები უნდა ყოფილიყო სახელმძვანელოში. კერძოდ:

- ეკონომიკური რეაბილიტაციის სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესში მინიმუმ 2 ქვეყნის საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი;
- ბენეფიციარების უნარებისა და შესაძლებლობების დიაგნოსტირება და ადგილობრივ შრომის ბაზარზე დასაქმების პერსპექტივების დადგენა;
- ინდივიდუალური პროფესიული და პიროვნული პროფილების შემუშავება;
- ბენეფიციარების განვითარების გეგმებისა და განვითარების სტრატეგიების შემუშავება;
- ბენეფიციარების განვითარების სისტემები და შესაძლებლობები;
- დამსაქმებლებთან კომუნიკაცია;
- კომუნიკაციის და ადაპტაციის სისტემები;
- დასაქმებისა და პროფესიული განვითარების მიმართულებით ვებ-პორტალის ზოგადი აღწერილობა და შესაძლებლობები.

## სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესის აღწერა:

ექსპერტის მიერ განხორციელდა კვლევა, თუ რომელი ქვექნების არსებული პრაქტიკები და გამოწვევები იქნებოდა რელევანტური ფონდის საქმიანობასთა.

კომუნიკაცია ხორციელდებოდა სხვადასხვა ქვეყნების ორგანიზაციებთან, რომელთა მიზანსაც წარმოადგენენ ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის სერვისების განხორციელბა.

# 2 შესრულებული სამუშაოების ანგარიში

გთხოვთ იხილოთ ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | **ACTEDO** | http://actedo.org/en/ | info@actedo.org |
| 2 | **Associação Portuguesa de Apoio à Vítima (APAV)** | http://www.apav.pt/ | apav.sede@apav.pt |
| 3 | **Associazione Aleteia** | http://www.associazionealeteia.it | associazionealeteia@associazioneale |
| 4 | **Associazione LIBRA Onlus** | http://www.associazionelibra.com/ | projects@associazionelibra.com |
| 5 | **Associazione Rete Dafne ONLUS** | http://retedafnetorino.it/ | retedafne@gmail.com |
| 6 | **ATENIN Sociedad Cooperativa Andaluza de interés social** | https://victimsupport.eu/members/atenin-sociedad-cooperative-andaluza-de-interes-social/ | atenin@atenin.org |
| 7 | **Bijeli krug Hrvatske (White Circle Croatia)** | http://bijelikrug-hrvatske.hr/ | bijeli.krug@gmail.com |
| 8 | **Bily Kruh Bezpeci** | http://www.bkb.cz | centrala.praha@bkb.cz |
| 9 | **Brottsofferjouren Sverige** | http://www.brottsofferjouren.se/ | info@brottsofferjouren.se |
| 10 | **Commission for Victims and Survivors** | http://www.cvsni.org/ | commission@cvsni.org |
| 11 | **Fehér Gyűrű Közhasznú Egyesület** | http://www.fehergyuru.eu | fehergyuru@t-online.hu |
| 12 | **Human Rights in Democracy Center (HRDC)** | http://www.hrdc.al | info@hrdc.al |
| 13 | **I-CARE – Associazione Italiana di Supporto Vittimologico** | http://www.associazionevittimologica.it/ | info@associazionevittimologica.it |
| 14 | **Ministry of Justice – Independent Service for Victim and Witness Support** | https://pravosudje.gov.hr/kontakti-16/samostalna-sluzba-za-podrsku-zrtvama-i-svjedocima-6383/6383 | Nikica.Hamer@pravosudje.hr |
| 15 | **Offerrådgivningen i Danmark** | http://www.offerraadgivning.dk | info@offerraadgivning.dk |
| 16 | **Office of Justice, Victim Support Unit** | http://igazsagugyihivatal.gov.hu/ | veiszg@igazsagugy.gov.hu |
| 17 | **Ohvriabi** | http://www.ohvriabi.ee | ohvriabi@ohvriabi.ee |
| 18 | **Pomoc Obetiam Násilia** | http://www.pomocobetiam.sk | info@pomocobetiam.sk |
| 19 | **Rikosuhripaivystys** | http://www.riku.fi/en/in+english/ | leena-kaisa.aberg@riku.fi |
| 20 | **Slachtofferhulp Nederland** | http://www.slachtofferhulp.nl | info@slachtofferhulp.nl |
| 21 | **Different & Equal" [D&E] (Albania)** | http://differentandequal.org/home/ | different&equal@icc-al.org |
| 22 | **Tjeter Vizion (Albania)** | http://www.tjetervizion.org/ | tjetervizion@gmail.com |
| 23 | **Vatra (Albania)** | http://www.qendravatra.org.al/ | info@qendravatra.org.al |
| 24 | **„MEDICA" ZENICA (BIH)** | http://medicazenica.org/uk/ | sabina@medikazonika.org |
| 25 | **PVPT (Kosovo)** | http://www.pvptcenter.net/eng/contact.htm | pvpt.ngo@gmail.com |
| 26 | **Atina Serbia** | http://www.atina.org.rs/en/ngo-atina-serbia-wins-international-award-outstanding-work | office@atina.org.rs |

| | | | |
|---|---|---|---|
| 27 | **Carlow - Women's Aid** | http://www.carlowwomensaid.ie/ | carlowwomensaid@hotmail.com |
| 28 | **Carlow - St. Catherine's Community Centre** | http://catherines.ie/ | info@stcatherinescarlow.ie |
| 29 | **Cavan - Domestic Violence Advocacy Service** | http://www.domesticviolence.ie/ | infodvas@eircom.net |
| 30 | **Cavan - Tearmann Domestic Abuse Service** | http://www.tearmann.net/ | tearmanndvs@eircom.net |
| 31 | **DUBLIN 12 DOMESTIC VIOLENCE SERVICE** | http://www.d12dvs.ie/ | admin@d12dvs.ie |
| 38 | **diakonie.at** | https://diakonie.at/einrichtung/sozialberatung | office@stadtdiakonie.net |
| 39 | **caritas-wien.** | https://www.caritas-wien.at/spenden-helfen/aktuelle-aufrufe/armut-in-oesterreich/ | |

კვლევის ანალიზის შედეგად გამოვლინდა რომ, ევროპის ქვეყნებში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლი ბენეფიციარების სერვისების ძირითად ნაწილს ახორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლების სუფსიდირებას იღებენ სახელმწიფოსგან და სხვადასხვა ფონდებისგან, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება მათი საქმიანობის ზედამხედველობა/მონიტორინგი.

საერთაშორისო პრაქტიკის ანალისიზათვის შეირჩა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნები, რადგან მათ პრაქტიკაშიც ანალოგიური გამოწვევები არსებობს რაც დღეის მდგომარეობით გვხვდება ჩვენს ქვეყანაში.




სახელმძღვანელოში განხილულია ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნების (ალბანეთი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, კოსოვო, მაკედონია, სერბეთი, რუმინეთი) ეკონომიკური რეაბილიტაციის მოდელები, რომლების გამოყენებულია ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლებთან მუშაობაში სამი მიმართულებით:

- დასაქმება
- თვითდასაქმება (მიკრო ბიზნერსის წარმოება)
- სოციალური მეწარმეობა.

აღნიშნულ ქვეყნებში არსებული გამოწვევები და ის სტრატეგიები რომელიც დასახული იქნა ბენეფიციარების რეაბილიტაციის მიზნით.

სახელმძღვანელოს შემუშავების პირველ ეტაპზე ბენეფიციარების უნარებისა და შესაძლებლობების დიაგნოსტირების მიზნით, ექსპერტების მიერ წარმოდგენილი იყო საკვლევ-სადიაგნოსტიკო საშულებები, რომლის გამოყენებაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა ბენეფიციარების დასაქმებისა და თვითადაქმების შესაძლებლობების ჩამოყალიბებაში. თუმცა, ფონდის თანამშრომლებთან პირველადი ანგარიშის წარმოდგენისას გამოითქვა აზრი რომ ფონდის არსებული რესურსით ამ ტიპის საკვლევ-სადიაგნოსტიკო საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა არ იყო და სახელმძღვანელოს შინაარსი უნდა ყოფილიყო თანხვედრაში იმ კომპეტენციებთან და ადამიანურ რესურსთან რაც ფონდ ამ ეტაპზე გააჩნია.

შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრება და მოხდა შეთანხმება რომ ბენეფიციარების ეკონომიკური რეაბილიტაციისთვის გამოყენებული ყოფილიყო სახელმძიფოში არსებული სახელმწიფო უწყების კერძოდ კი სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების დეპარტამენტის შესაძლებლობზები და რესურსი და ფონდისა და აღნიშნული დეპარტამენტის მჭიდრო და ეფექტური თანამშრომლობის პროცედურული სახელმძღვანელო შემუშავებულიყო. აღინიშნა რომ დასაქმების მიმართულებით ძირითადი როლის განმსაზღვრელი უნდა ყოფილიყო დასაქმების პროგრამების მხარდაჭერის დეპარტამენტი, ხოლო ფონდის როლი განსაზღვრულიყო როგორც პროცესის მედიატორის და მონიტორინგის ფუნქციის მატარებელი.

აღნიშნული შეთანხმების შედეგად ფონდის ხელშეწყობით ექსპერტების მიერ განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

1. **ბენეფიციარებთან შეხვედრა და ინტერვიუები თბილისის კრუზისულ ცენტრში**

   შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ბენეფიციარების მხრიდან დასაქმების მიმართულებით სიძნელეები და მათი მოლოდინების განსაზღვრა.

   გამოიკვეთა ის ძირითადი ფაქტორები რაც შესაძლეოა განიხილოს ხელისშემშლელ ფაქტორებად ეკონომიკური რეაბილიტაციის პროცესში:

   - მოტივაციის ნაკლებობა
   - სამუშაოსა და ანაზღაურებასთან მიმართებაში არარეალისტური მოლოდინები
   - ფონდის სერვისების მიმართ მიჯაჭვულობა
   - კომპეტენციის ამაღლების საჭიროებები

2. **შესწავლილ იქნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის, ასევე მისი სტრუქტურული ერთეულების (კრიზისული ცენტრი და თავშესაფარი) შინაგანაწესი, მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობის კონცეფცია, სოციალური მუშაკის მომსახურების კონცეფცია**
3. **ასევე შესწავლილი ქნა შემდეგი ფორმები:**

- მსხვერპლის/დაზარალებულის/ სავარაუდო მსხვერპლის/ მსხვერპლზე/დაზარალებულზე დამოკიდებული პირის  შეფასების ფორმა;
- მსხვერპლის/დაზარალებულის/ სავარაუდო მსხვერპლის/ მსხვერპლზე/დაზარალებულზე დამოკიდებული პირის)  შემთხვევის მართვის გეგმა;
- მსხვერპლის/დაზარალებულის/ სავარაუდო მსხვერპლის/ მსხვერპლზე/დაზარალებულზე დამოკიდებული პირის)  შემთხვევის მართვის გეგმის გადასინჯვა;
- ბენეფიციარის  თავშესაფრიდან ამორიცხვის შემდგომ ერთწლიანი მონიტორინგის ფორმა.

## 4. ფონდის კრიზისული  სტრუქტურული ერთეულების (ცენტრი/თავშესაფრი) და დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრა










- ➔ სამუშაო შეხვედრის ფასილიტაციას ახორციელებდნენ სახელმძღვანელოს ექსპერტები.

- ➔ ფონდისა და დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს მათი უწყებების საქმიანობის ძირითადი ბიზნეს პროცესები.

- ბიზნეს პროცესების შედეგად წარმოდგენილ იქნა მოსაზრებები სად და რა ეტაპზე იქნება შესაძლებელი ფონდისა და დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის თანამშრომლობა, ინფორმაციის გაზიარება და ერთობლივი მოქმედება ბენეფიციარების დასაქმების მიმართულებით.

- გამოითქვა მოსაზრებები რომ საქმიანობები ვიზუალურად აღწერილიყო სახელმძღვანელო დოკუმენტში, რაც გაამარტივებდა თანამშრომლობის აღქმის პროცესს.

- პროცედურულ სახელმძღვანელოში აღწერილია ფონდისა და დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის საქმიანობის ბიზნეს-პროცესები და თანამშრომელობის ეტაპები, რომელიც უნდა წარმართონ ორი უწყების წარმომადგენლებმა მათი კომპატენციისა და ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად.

- ექსპერტების მოსაზრებით, მნიშვნელოვანია პროცესის ეფექტიანობისთვის განხორციელდეს ის სამუშაოები რომელიც თანდართული სახით წარმოდგენილია სახელმძღვანელოს სარეკომენდაციო ნაწილში.